საქართველოს პარლამენტის ბიუროს

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის** პ/N
[redacted] მცხ.: [redacted]
[redacted] ტელ.: [redacted] ელ. ფოსტა:
[redacted]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებულ იმ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებითაც ვფიქრობ, რომ საჭიროებს შემდომ დახვეწას.

დანართი:

- ✓ საკანონმდებლო წინადადება - საკონსულო სერტიფიკატის არმქონე პირთათვის საკონსულო ფუნქციების შეზღუდვის სათანადო მექანიზმის დანერგვის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-4601/23
„03“ 04 2023 წ. ფურცლ. 8

<u>საქართველოს პარლამენტს</u>

საკანონმდებლო წინადადება

საკონსულო სერტიფიკატის არმქონე პირთათვის საკონსულო ფუნქციების შეზღუდვის სათანადო მექანიზმის დანერგვის შესახებ

- **ცვლილების სახეობა:** „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.
- **კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:** 2010 წლის 12 ივნისს მიღებული „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით გარდა იმისა, რომ საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად განისაზღვრა სერტიფიცირების მოთხოვნა[1], ასევე, გათვალისწინებულია საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად საჭირო სერტიფიკატის არმქონე პირისათვის საკონსულო ფუნქციების შეზღუდული უფლებამოსილების ფარგლებში დაკისრების შესაძლებლობაც.
  - თუ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში დანიშნულია ერთზე მეტი საკონსულო თანამდებობის პირი, ერთ-ერთი მათგანის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის დროებით შესრულება დაეკისრება სხვა საკონსულო თანამდებობის პირს. სხვა საკონსულო თანამდებობის პირის არარსებობის შემთხვევაში შეიძლება მინისტრის გადაწყვეტილებით შეიზღუდოს ზოგიერთი საკონსულო ფუნქციის შესრულება.

ამასთან, საკითხის უფრო დეტალურ განხილვამდე, სასურველი იქნებოდა საკონსულო ფუნქციების წარმოჩენაც, რომელიც ხსენებული კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, იყოფა ძირითად და დელეგირებულ უფლებამოსილებად.

ძირითადი საკონსულო ფუნქციები	**დელეგირებული საკონსულო ფუნქციები**
კონსულტაციის გაწევა	საქართველოს მოქალაქეობასა და მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები
სამართლებრივი დაცვა	
შუამდგომლობა	
საკონსულო ოლქის ფარგლებში სავაჭრო, ეკონომიკურ, კულტურულ, სამეცნიერო, ტრანსპორტის, ტურიზმისა და სამართლებრივ სფეროებში თანამშრომლობის ხელშეწყობა	საქართველოს მოქალაქეთა რეგისტრაციისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემასთან დაკავშირებული საკითხები
საკონსულო ოლქის შემოვლა	
საკონსულო სფეროში არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების შესრულების საერთო ზედამხედველობა	სამოქალაქო აქტების რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები

[1] აღნიშნული სპეციალური სასწავლო პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობის პირსა და უმაღლესი დიპლომატიური რანგის მქონე პირზე

საკონსულო ლეგალიზაცია	
საქართველოს ვიზის გაცემა	
საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაცემა	
საკონსულო აღრიცხვის წარმოება	მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული სხვა ფუნქციები
საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოებისთვის სამართლებრივი დახმარების გაწევა	
სანოტარო მოქმედებების შესრულება	
საქართველოს საზღვაო, საჰაერო, საავტომობილო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების საკონსულო მომსახურება	

ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, წლების განმავლობაში, პრაქტიკაში, საკონსულო ფუნქციების შეზღუდვა, ყველა პირთათვის ინდივიდუალურად ხორციელდება შემდეგ საკონსულო მოქმედებებზე:

- **სამოქალაქო აქტების** რეგისტრაცია,
- საქართველოს **მოქალაქეობასთან** დაკავშირებული საკითხები,
- **სანოტარო** მოქმედებების შესრულება,
- საქართველოს მოქალაქეთა **რეგისტრაცია და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების** გაცემა.

თუ არ ჩავთვლით სანოტარო მოქმედებების შესრულებას, ყველა ზემოხსენებული მოქმედება წარმოადგენს დელეგირებულ უფლებამოსილებას. ამასთან, ისეთ მოქმედებებზე, სადაც სავარაუდოდ საჭიროებს სპეციფიურ ცოდნას (მაგალითად სამართლებრივი დაცვა, ვიზის (საიმიგრაციო) გაცემა, საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების შესრულების შეფასება), საკონსულო სერტიფიკატის არფლობის პირობებში - მოცემული შეზღუდვა არ ვრცელდება. სავარაუდოდ აღნიშნული მოითხოვს სამართლებრივი გზით მოწესრიგებას.

☞ **იდენტიფიცირებული პრობლემა, რომლის გადაჭრა საკანონმდებლო წინადადების მიზანია:** საკონსულო ფუნქციების შეზღუდვაზე შესატყვისი მექანიზმის უქონლობა.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური პროგრამის გავლისა და საკონსულო სერტიფიკატის (გამოცდაზე დადებითი შედეგების საფუძვლად გაიცემა) საკანონმდებლო დონეზე მოთხოვნის დაწესება, 6438-რს კანონის პროექტზე თანდართული განმარტებითი ბარათის[2] შესაბამისად, უკავშირდება საკონსულო თანამდებობის პირთა კვალიფიკაციის დონის გაზრდას და საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების უფრო სრულყოფილად დაცვის ხელშეწყობას. სავარაუდოა, რომ ამ ამოცანიდან

[2] იხ. ბმული: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/33795

გამომდინარე საკანონმდებლო ნორმებმა ასევე უნდა უზრუნველყოს ისეთი ფილტრაცია, რომლის შესაბამისად შეუძლებელი იქნება შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის არ მქონე პირთა მიერ (მათ შორის შეზღუდული უფლებამოსილების დაკისრების შემთხვევაშიც) საკონსულო ფუნქციების განხორციელება.

- თუ ძირითადი საკონსულო ფუნქციებით გათვალისწინებულ სამართლებრივ დაცვას, რომელიც თავის თავში ასევე მოიცავს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სახელმწიფო ორგანოებთან და კერძო სამართლის სუბიექტებთან საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, ბრალდებულის წარმომადგენლის და საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურებით უზრუნველყოფის თვალყურის დევნებას, დაკავებულის მდგომარეობისა და განთავსების პირობების ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ ნორმების შესაბამისობის შეფასებას, საქართველოს გარდაცვლილი მოქალაქის დარჩენილი ქონების დაცვას, საკონსულო ფუნქციების განმახორციელებელ უფლებამოსილი პირს არ ეზღუდება მიუხედავად საკონსულო სერტიფიკატის არ ფლობისა (და შესაძლოა შესაბამისი ცოდნის არ ქონისას), ლოგიკურია კითხვის არსებობა თუ რა აუცილებლობას წარმოადგენს ასეთი პირთათვის რიგი დელეგირებული უფლებამოსილების (მაგ.: პასპორტის და პირადობის გაცემა; საქართველოს მოქალაქეობის დადგენა) შეზღუდვა[3].

---

[3] ბიომეტრული პასპორტის (რომელიც წარმოადგენს საკონსულო მომსახურების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას) და აიდი ბარათის გაცემის შემთხვევაში, განაცხადის დასაშვებობას, განხილვას და გადაწყვეტილების (მათ შორის სამგზავრო დოკუმენტის დაბეჭვდის და მისი მოქალაქემდე მიწოდების) მიღებას ახდენს სახელმწიფო სერვისების უფლებამოსილი პირი, ხოლო ამ შემთხვევაში საკონსულო თანამდებობის პირის როლია - ბიომეტრული მონაცემების აღება და განაცხადის პროგრამულად მიღება, დამზადებული პასპორტის/ გადაწყვეტილების (საჭიროებისამებრ) უფლებამოსილი პირისათვის გადაცემა. რაც შეეხება მოქალაქეობის საკითხებს 15/10/2010 NN 228–№188 ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული წესის თანახმად, ძირითადი და დელეგირებული საკონსულო ფუნქციების განხორციელებისას, რაც საჭიროებს პირის მიერ საქართველოს მოქალაქეობის დაბადებით მოპოვების საკითხის განხილვას, საკონსულო თანამდებობის პირი ადგენს დაბადებით საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების საფუძვლებს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გარეშე. საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 10/06/2014 237 ბრძანების შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების, საქართველოს მოქალაქეობის დადგენის, საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისა და საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის შესახებ ამ დებულებით დადგენილი ფორმის განცხადებები და საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ პირს შეაქვს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში. საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება მოქალაქეობის

ხაზი ასევე უნდა გაესვას, რომ საკონსულო ფუნქციების შესრულების პროცესში, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში, საკონსულო თანამდებობის პირებს დახმარებას უწევს არადიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშნული ან ხელშეკრულებით სამუშაოდ მიღებული პირები (საკონსულო მოსამსახურეები), რომელთა უფლებამოსილება საკონსულო თანამდებობის პირებისათვის ადმინისტრაციულ-ტექნიკურ მომსახურების გაწევაა. საკონსულო მოსამსახურეებზე ზემოხსენებული სერტიფიკატის ფლობა არ არის გათვალისწინებული და არც აღნიშნულის გამო ზემოაღნიშნული უფლებამოსილების ფარგლები სამართლებრივი რეგულაციებით არ ეზღუდებათ. ამასთან, დელეგირებულ ფუნქციებთან მიმართებით საკონსულო მოსამსახურეების უფლებამოსილების ფარგლები დაკონკრეტებულია საქართველოს იუსტიციის და საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივი ბრძანებით (15/10/2010 NN 228–№188) დამტკიცებული წესის 1-ლი მუხლის მე-3[1] პუნქტის შესაბამისად, დელეგირებულ უფლებამოსილებებთან დაკავშირებით[4] ცალკეული მოქმედებების განხორციელება (<u>განაცხადების მიღება,</u> ფოტოიდენტურობის დადასტურების დამოწმება, არასრულწლოვან ან ქმედუუნარო პირზე პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის შესახებ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის, აგრეთვე, ნების წერილობით გამოხატვის დადასტურება და <u>დამზადებული დოკუმენტების ან</u>

საკითხზე წარდგენილ განცხადებასა და საკითხის განხილვისათვის საჭირო დოკუმენტებს წარდგენიდან 3 დღეში წერილობითი ან ელექტრონული ფორმით უგზავნის სააგენტოს უშუალოდ ან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით.

[4] 15/10/2010 NN 228–№188 ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული წესის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საკონსულო თანამდებობის პირი დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს: ა) დაბადების, მამობის დადგენის, შვილად აყვანის, ქორწინების, განქორწინების, სახელის და/ან გვარის შეცვლისა და გარდაცვალების რეგისტრაციას; ბ) უფლებამოსილი პირის მოთხოვნით სამოქალაქო აქტების ჩანაწერში ცვლილების, შესწორების და/ან დამატების შეტანას; გ) სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მოწმობების და სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის შესახებ ცნობების განმეორებით გაცემას; დ) დაბადების, გარდაცვალების, დაბადების რეგისტრაციისა და გარდაცვალების რეგისტრაციის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენას; ე) საქართველოს მოქალაქეებზე, საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებზე მათ საზღვარგარეთ დასაქორწინებლად ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობის შესახებ ცნობების გაცემას; ვ) საქართველოს მოქალაქის მისამართზე რეგისტრაციის შესახებ **განცხადების მიღებასა** და განხილვას; ვ1) საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობის: ვ1.ა) გაცემის შესახებ **განცხადების მიღებას;** ვ1.ბ) გაცემისათვის აუცილებელი ბიომეტრიული მონაცემების შეგროვებას; ვ1.გ) დაინტერესებული **პირისათვის გადაცემას;** ზ) საქართველოს მოქალაქის **პასპორტის გაცემას;** ზ1) საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის: ზ1.ა) გაცემის შესახებ **განცხადების მიღებას;** ზ1.ბ) გაცემისათვის აუცილებელი ბიომეტრიული მონაცემების შეგროვებას; ზ1.გ) დაინტერესებული **პირისთვის გადაცემას;** თ) სამოქალაქო აქტის ხელახალ რეგისტრაციას; ი) დაბადებისა და გარდაცვალების სამოქალაქო აქტების ჩანაწერების ბათილად ცნობას; კ) საქართველოს მოქალაქეობის დაბადებით მოპოვების საფუძვლების დადგენას.

<u>გადაწყვეტილებების გადაცემა)</u> შეიძლება დაეკისროს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების საკონსულო მოსამსახურეს. ფაქტობრივად ეს ცალკეული მოქმედებები გულისხმობს ყველა ასპექტს, გარდა განხილვა-გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღებისა. აქვე, მხედველობაშია მისაღები, რომ მაშინ, როდესაც სერტიფიკატის არ მფლობელ საკონსულო თანამდებობის პირს (საკონსულო მოსამსახურის ზემდგომ პირს) სრულად ეზღუდება დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელება, დელეგირებული ფუნქციების საკონსულო მოსამსახურე, რომელსაც შესაძლოა უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომიც კი არ ქონდეს, ახორციელებს განაცხადებების მიღებას და განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების დაინტერესებული პირთათვის გადაცემას. დღემდე არსებული პრაქტიკა საკონსულო ფუნქციების შეზღუდვის შესახებ, იმ ქვეყნებში სადაც დაკომპექტებულია საკონსულო მოსამსახურე პირებით, შესაძლოა საქართველოს მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების უფრო სრულყოფილად დაცვის ხელშეწყობი ვერ აღმოჩნდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, არათანსწორი საკადრო პოლიტიკის და საკონსულო საქმიანობის შემაფერხებელი მექანიზმების აღმოფხვრის, ასევე, კვალიფიციური საკონსულო დახმარების დანერგვის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, მიზანშეწონილია სერტიფიკატის არ მფლობელ პირთათვის მინისტრის ბრძანებით განესაზღვროთ ის საკონსულო მომსახურებების და საკონსულო დახმარებების სახეობები, რომელთა შეზღუდვა მარტივი ადმინისტრაციული პროცესიდან გამომდინარე დაუშვებელია, საკონსულო ფუნქციების შეზღუდვის ზოგადი ფარგლები და საკონსულო ფუნქციების შეზღუდვის შემთხვევაში საქმის განხილვის ვადის გადავადების წესი (მაგალითად „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლში საკითხის ბრძანებით რეგულირების შესახებ მითითებითი პუნქტის დამატების გზით). მაგალითად კანონის საფუძვლად მიღებული ბრძანებით დარეგულირდეს:

a) როგორც დელეგირებულ ისე ძირითად ფუნქციებთან მიმართებით უფლებამოსილების განხორციელების ფარგლები:
    1) საკონსულო მომსახურებით თუ საკონსულო დახმარებით გათვალისწინებულ ნებისმიერ საკითხზე, განაცხადის მიღებისა და გადაწყვეტილების დაინტერესებულ პირთათვის გადაცემის უფლებამოსილების მინიჭება.
    2) საკონსულო მომსახურებით თუ საკონსულო დახმარებით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელებისას საკითხის განხილვა-გადაწყვეტაში უფლებამოსილების შეზღუდვა, გარდა ზემოხსენებული „ხ“ პუნქტით გათვალისწინებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების საჭიროების მქონე ფუნქციებისა;

b) მარტივი ადმინისტრაციული წარმოების საჭიროების მქონე საკონსულო მომსახურებებთან და საკონსულო დახმარებებთან (მაგ.: საკონსულო აღრიცხვაზე დაყენება და საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნა, ნასამართლობის შესახებ და ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არ არსებობის შესახებ ცნობების გაცემა, დიპლომატიური, ორდინალური და სატრანზიტო ვიზების გაცემა, კონსულტაციის გაწევა, საკონსულო ლეგალიზაცია, საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაცემა, კერძო სანოტარო აქტების გაფორმება, სანოტარო წესით დოკუმენტის ასლის დედანთან სისწორის დამოწმება, საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დოკუმენტის გაცემის ფაქტის დადასტურება, დოკუმენტისა და ინფორმაციის გამოთხოვა, საქართველოს გარდაცვლილი მოქალაქის გადმოსვენებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების, საქართველოს მოქალაქეობის დადგენის, საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისა და საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის შესახებ საქმისწარმოება, ნების გამოვლენის ფაქტების დადასტურება) მიმართებით, საგამონაკლისო საკადრო პოლიტიკის დადგენა (საკონსულო ფუნქციების ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე განხორციელება), უფლებამოსილ პირთათვის საკითხის განხილვა გადაწყვეტის უფლებამოსილების მინიჭება/ განსაზღვრა.

c) "a" პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, განაცხადის მიღებისას, საკითხის განხილვისასთვის დადგენილი ვადა შეჩერდება იქამდე, სანამ დიპლომატიურ წარმომადგენლობაში/ საკონსულო დაწესებულებაში არ იქნება მივლენილი ან დაბრუნებული (მაგ.: შვებულებიდან) საკონსულო თანამდებობის პირი.

✓ **საკანონმდებლო წინადადების ავტორი:**

საქართველოს მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძე**, პირადი ნომერი [redacted]
მცხ.: [redacted] საფოსტო ინდექსი [redacted]
ელ. ფოსტა: [redacted] მობ.: [redacted]

26/02/2023

1770/2-7/23 2 07032023

1770/2-7/23
07-03-2023

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძეს
პ/ნ [redacted]

(მისამართი: [redacted]
ელექტრონული ფოსტის მისამართი: [redacted])

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი №1-2562/23 და №1-2731/23 წერილების თანახმად, გიგზავნით თქვენ მიერ მოთხოვნილ განახლებულ მონაცემებს, რომელიც ეხება საქართველოს X მოწვევის პარლამენტში 2022 წლიდან 2023 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდში, თქვენ მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადებების ნუსხას მათი განხილვის ეტაპისა და საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნების შესაბამისი ბმულების მითითებით:

1. „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-6862/22, 03.06.2022), რომელიც საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა 2022 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://parliament.ge/legislation/24265.
2. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-7149/22, 09.06.2022). იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://parliament.ge/legislation/24310.
3. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-9268/22, 22.07.2022), რომელსაც საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 19 ოქტომბრის ბიუროს №191/9 გადაწყვეტილებით 19 ოქტომბრიდან განხილვის ვადა გაუგრძელდა ერთი თვით. იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://parliament.ge/legislation/24484.
4. „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-9305/22, 25.07.2022), რომელიც საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა 2022 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე:

https://parliament.ge/legislation/24486.

5. „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-9945/22, 08.08.2022). იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://parliament.ge/legislation/24521.

6. „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-10075/22, 10.08.2022), რომელიც საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა 2022 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://parliament.ge/legislation/24540.

7. „საქართველოს მოქალაქეთა, საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-10260/22, 15.08.2022), რომელიც თქვენ 2022 წლის 29 აგვისტოს №1-10781/22 წერილის საფუძველზე გამოითხოვეთ საკომიტეტო განხილვამდე საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად. იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://parliament.ge/legislation/24541.

8. „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-11145/22, 07.09.2022), რომელიც საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა 2022 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://parliament.ge/legislation/24602.

9. „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-11366/22, 12.09.2022), რომელიც საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა 2022 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://parliament.ge/legislation/24631.

10. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-12039/22, 21.09.2022), რომელიც საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტმა 2022 წლის 12 დეკემბრის სხდომაზე განიხილა და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://parliament.ge/legislation/24681.

11. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-12646/22, 04.10.2022), რომელიც საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა 2022 წლის 7 ნოემბრის სხდომაზე განიხილა და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე:

https://parliament.ge/legislation/24764.

12. „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-12897/22, 07.10.2022). იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://parliament.ge/legislation/24793.

13. „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-13016/22, 10.10.2022), რომელიც საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა განიხილა 2023 წლის 17 თებერვლის სხდომაზე და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://parliament.ge/legislation/24811.

14. „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ და „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონების პროექტებთან დაკავშირებით (№1-13165/22, 12.10.2022), რომელიც საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა 2022 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://parliament.ge/legislation/24842.

15. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-13103/22, 12.10.2022), რომელსაც საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 29 ნოემბრის ბიუროს №203/11 გადაწყვეტილებით 30 ნოემბრიდან განხილვის ვადა გაუგრძელდა 30 დღით. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://parliament.ge/legislation/24836.

16. „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-13718/22, 24.10.2022), რომელსაც საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 13 დეკემბრის ბიუროს №210/7 გადაწყვეტილებით 14 დეკემბრიდან განხილვის ვადა გაუგრძელდა 30 დღით. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://parliament.ge/legislation/24948.

17. „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-13923/22, 27.10.2022), რომელიც თქვენ 2022 წლის 1 ნოემბერის №1-14095/22 წერილის საფუძველზე გამოითხოვეთ საკომიტეტო განხილვამდე საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://parliament.ge/legislation/24958.

18. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-14761/22, 11.11.2022), რომელსაც საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 14 დეკემბერის ბიუროს №211/4 გადაწყვეტილებით

2023 წლის 15 თებერვლიდან განხილვის ვადა გაუგრძელდა ერთი თვით. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://parliament.ge/legislation/25106.

19. „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-14741/22, 11.11.2022), რომელიც საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა განიხილა 2023 წლის 17 თებერვლის სხდომაზე და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://parliament.ge/legislation/25090.

20. „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-14742/22, 11.11.2022), რომელსაც საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 19 დეკემბერის ბიუროს №214/6 გადაწყვეტილებით 2023 წლის 15 თებერვლიდან განხილვის ვადა გაუგრძელდა ერთი თვით. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://parliament.ge/legislation/25089.

21. „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-15428/22, 24.11.2022), რომელსაც საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 14 დეკემბერის ბიუროს №211/3 გადაწყვეტილებით 2023 წლის 28 თებერვლიდან განხილვის ვადა გაუგრძელდა ერთი თვით. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://parliament.ge/legislation/25279.

22. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-15621/22, 28.11.2022), რომელსაც საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 27 თებერვლის ბიუროს №227/26 გადაწყვეტილებით 2023 წლის 2 მარტიდან განხილვის ვადა გაუგრძელდა 30 დღით. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://parliament.ge/legislation/25300.

23. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-15548/22, 28.11.2022), რომელსაც საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 27 თებერვლის ბიუროს №227/25 გადაწყვეტილებით 2023 წლის 1 მარტიდან განხილვის ვადა გაუგრძელდა 30 დღით. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://parliament.ge/legislation/25294.

24. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-15692/22, 29.11.2022), რომელსაც საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 27 თებერვლის ბიუროს №227/27 გადაწყვეტილებით 2023 წლის 6 მარტიდან განხილვის ვადა გაუგრძელდა 30 დღით. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://parliament.ge/legislation/25313.

25. „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-16837/22, 19.12.2022). იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://parliament.ge/legislation/25433.
26. „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-46/23, 09.01.2023). იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://parliament.ge/legislation/25602.
27. „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-996/23, 23.01.2023). იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://parliament.ge/legislation/25679.
28. „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-1304/23, 25.01.2023). იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://parliament.ge/legislation/25683.
29. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-1348/23, 26.01.2023). იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://parliament.ge/legislation/25688.
30. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-1568/23, 30.01.2023). იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://parliament.ge/legislation/25690.
31. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-1799/23, 02.02.2023). იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://parliament.ge/legislation/25698.
32. „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-1935/23, 06.02.2023). იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://parliament.ge/legislation/25722.
33. „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-2158/23, 09.02.2023). იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://parliament.ge/legislation/25760.
34. „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-2565/23, 20.02.2023). იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://parliament.ge/legislation/25836.

თქვენი მოთხოვნის შესაბამისად, აგრეთვე წარმოგიდგენთ იმ საკანონმდებლო წინადადებების ნუსხას, რომლებიც საქართველოს პარლამენტის წამყვანი კომიტეტების მიერ იქნა განხილული და გიგზავნით მათ დასკვნებს (იხ. დანართი):

1. „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-6862/22, 03.06.2022), რომელიც საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა 2022 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://parliament.ge/legislation/24265.
2. „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-9305/22, 25.07.2022), რომელიც საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა 2022 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://parliament.ge/legislation/24486.
3. „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-10075/22, 10.08.2022), რომელიც საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა 2022 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://parliament.ge/legislation/24540.
4. „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-11145/22, 07.09.2022), რომელიც საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა 2022 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://parliament.ge/legislation/24602.
5. „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-11366/22, 12.09.2022), რომელიც საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა 2022 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://parliament.ge/legislation/24631.
6. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-12039/22, 21.09.2022), რომელიც საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტმა 2022 წლის 12 დეკემბრის სხდომაზე განიხილა და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://parliament.ge/legislation/24681.
7. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-12646/22, 04.10.2022), რომელიც საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის

კომიტეტმა 2022 წლის 7 ნოემბრის სხდომაზე განიხილა და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://parliament.ge/legislation/24764.

8. „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-13016/22, 10.10.2022), რომელიც საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა განიხილა 2023 წლის 17 თებერვლის სხდომაზე და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://parliament.ge/legislation/24811.

9. „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ და „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონების პროექტებთან დაკავშირებით (№1-13165/22, 12.10.2022), რომელიც საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა 2022 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://parliament.ge/legislation/24842.

10. „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით (№1-14741/22, 11.11.2022), რომელიც საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა განიხილა 2023 წლის 17 თებერვლის სხდომაზე და წარმოადგინა დასკვნა. იხილეთ შემდეგ ბმულზე:
https://parliament.ge/legislation/25090.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ, საქართველოს პარლამენტის კომიტეტების ინფორმაციით, რომლებმაც განიხილეს თქვენ მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადებები, მათ ნაწილს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (სამინისტროს) მიერ გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები წერილობითი ფორმით არ მიუღია, ხოლო იმ კომიტეტებმა, რომლებმაც მიიღეს შენიშვნები და მოსაზრებები, ისინი თავიანთ დასკვნებში ასახეს და ისე წარმოადგინეს.

დანართი: 27 ფურცელი.

პატივისცემით,
საორგანიზაციო

დეპარტამენტის უფროსი
ეთერ სვიანაიძე

ე. სვიანაიძე